

ბიულეტენი

აჭარის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
საინფორმაციო ორგანო

№3 (78) ივლისი, აგვისტო, სექტემბერი 2016 წელი

ეკვართამაღლება

გადაბმენისკენ სწრაფვა

მიმავლის სისასტლით!

მომავლის სიხარულით!

ალბათ, არახალია, რომ აფხაზეთის სულიერების და კულტურის ცენტრმა დიდი მისია იკისრა, რომ იგი აერთიანებს, აკავშირებს აფხაზეთის მიწის მკვიდრთ ინტენსიური სულიერი ცხოვრებით. მაგრამ ეს არის ამ მოსახლეობის ცხოვრების აწმყო, რომელიც მოდის მათი წარსულიდან. განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ აქ მიზანმიმართულად მზადდება ნიადაგი მომავლისათვის.

მართლაც, მოდის მომავალი თაობა და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი წარმოაჩენს, მეტიც, ცდილობს შეუქმნას გარემო-პირობები ნიჭის, მონაცემების განვითარების, გაფურჩქვნისათვის და შედეგებიც სახეზეა. ამის დასადასტურებლად, ალბათ, საკმარისია დავასახელოთ ისეთი უკვე წარმატებული და აღიარებული შემსრულებლები, როგორებიც არიან მომღერლები სალომე ჯიქია, ალუდა თოდუა, მხატვრები დავით კვანტალიანი, თედო რეხვიაშვილი და სხვ.

ამ მიზანს ისახავდა ამასწინანდელი შეხვედრა-კონცერტიც, რომლის მთავარი გმირები იყვნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნორჩი და მოზარდი წარმომადგენლები. მხატვრები, რომლებიც სულ პირველ ნაბიჯებს დგამენ ხელოვნების სფეროში, ნორჩი მევიოლინე, ახალგაზრდა პიანისტი, თითოეული მათგანი იმედისმომცემად წარმოჩნდა შეხვედრაზე.

ბუნებრივია, სურვილი მაქვს დავიწყო ყველაზე ნორჩი „შემოქმედის“ – თამარ დგებუაძის ნამუშევრებით: ნახატებით და პლასტილინის ფიგურებით, რომლებიც სხვადასხვა ზღაპრის სიუჟეტებს ან გმირებს გამოსახავდნენ: დათუნიები და ცუგები, სპილოები და ჩიტები მშვენივრად ცოცხლდებიან პატარა მძერწავის ხელში, მხიარულ ფერებში შესრულებული გემი და ქალთევზა კი, ალბათ, ჯერაც უცნობი, მაგრამ საოცნებო მშობლიური ქალაქის ასოციაციაა.

სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ ამ თავყრილობის მონაწილენი იყვნენ ერთი, სასულიერო პირის, მიქაელ ბუკიას მრავალშვილიანი ოჯახის წევრები – დები, რომლებიც ხელოვნების სხვადასხვა დარგის მეშვეობით გამოხატავენ საკუთარ თავს. ესეც ერთგვარი სიმბოლური ფაქტი გახლდათ, რომ მათი ცხოვრების თანმხლებია სილამაზის, მშვენიერებისკენ ლტოლვა და ის, რომ აფხაზეთიდან წამოსული ამგვარი ოჯახები სულიერების და კულტურის ცენტრის ყურადღების მიღმა არ რჩებიან. ესენი თბილისის 47-ე სკოლის მოსწავლეები არიან, რომელთაგან ერთმა – ეფემია ბუკიამ თავისი ფერწერული ნამუშევრები გაგვაცნო. ეს იყო ნატიურმორტები – ძირითადად ყვავილების თაიგულები, რითაც გამჟღავნდა ნორჩი მხატვრის შინაგანი სწრაფვა – გარემოს ნატიფი და სათუთი წვდომის, შეცნობის უნარი. მის შემდეგ დის – ნინო ბუკიას მიერ ვიოლინოზე შესრულებული ფრიც კრეისლერისა და ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები ერთგვარი გაგრძელება იყო იმავე სამყაროში შესასვლელად.

ნორჩი მევიოლინის შესრულებაში მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შეგრძნება ნათელი, კაშკაშა ფერების, სამყაროს ამგვარად აღქმის ქვეცნობიერი სურვილი. აქ აღსანიშნავია მისი პედაგოგის – ცნობილი მევიოლინის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეტის, ნიჭიერთა ათწლედის პედაგოგ ქეთევან თუშმალიშვილის დამსახურება, რომელიც აკადემიურ მიმართულებას აძლევს მას, აცნობს ავტორის ეპოქას, ნაწარმოების სტილს.

შეხვედრაზე სახვითი ხელოვნების დარგით წარმოგვიდგა, აგრეთვე, მე-12 კლასის მოსწავლე მარიამ კუპრეიშვილი. მან გაგვაცნო თავისი გრაფიკული ნამუშევრები. ისინი, უპირველესად, ასახავდნენ ავტორის დიდ სიყვარულს ხატვისადმი, მათში საგრძნობი იყო პედაგოგის (ლევან ანდრიაძე) გულისყური და ძალისხმევა. ამ ნამუშევრებიდან ფორმების, პროპორციების ათვისებისა და გამოსახვის, პროფესიონალიზმის მიღწევის სურვილი გამოსჭვიოდა. ნორჩმა მხატვარმა მხოლოდ გრაფიკული ნამუშევრები წარმოადგინა და მე გამიჩნდა კითხვა – თუ მუშაობს ის ფერწერის სფეროში? – პასუხი იყო ამგვარი, რომ მუშაობს ფერწერაშიც, მაგრამ გრაფიკაში მუშაობა ბევრად უფრო დიდ სიამოვნებას ანიჭებს, აქ თავის სტიქიაში გრძნობს თავს.

შეხვედრა-კონცერტის დაგვირგვინება იყო ახალგაზრდა პიანისტ დავით ქეცბაიას გამოსვლა. მან უკვე დაამთავრა თბილისის „ნიჭიერთა ათწლედი“ და ციურიხის მუსიკალურ აკადემიაში ჩაირიცხა. დავითმა დამსწრე აუდიტორიაზე იმედისმომცემი შთაბეჭდილება მოახდინა, რისი საფუძველიც, ჩემი აზრით, ერთი მხრივ, მისი საშემსრულებლო-ტექნიკური აპარატი, მეორე მხრივ – ინდივიდუალიზმისაკენ სწრაფვის გამოვლენა იყო. მის მიერ დაკრულმა პროგრამამაც (ბახი, რახმანინოვი, პროკოფიევი) განაპირობა შემსრულებლის გაქანების, პოტენციალის წარმოჩენა. გამოიკვეთა პედაგოგ ალა ქუთათელაძის როლიც მოსწავლის გულისყურის წარმართვაში, აგრეთვე სხვადასხვა ეპოქისა და სტილის გათავისების უნარის გამომუშავებაში.

დავით ქეცბაიამ სხვადასხვა ეპოქის ნაწარმოებების შესრულებით, ცხადია, შინაგანი მრავალმხრივობაც გვაგრძნობინა. ერთმანეთის გვერდიგვერდ ბახისა და პროკოფიევის აჟღერებით, ერთი მხრივ, სიღრმეებისაკენ, მეორე მხრივ – მფეთქავი დინამიკისაკენ სწრაფვა გამოავლინა, მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც მის შესრულებაში გამომჟღავნდა, მომავალში ამ კომპოზიტორების მუსიკის აჟღერებისას ახალი მწვერვალების მიღწევის პოტენციალია.

სულიერებისა და კულტურის ცენტრი გულშემატკივრობდა ახალბედა პიანისტს წლების მანძილზე. მოწმე იყო მისი ზრდის, განვითარების. გულშემატკივრობდა მაშინ, როდესაც ის, „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლე, მონაწილეობდა თბილისში, ციურიხის კონსერვატორიის პროფესორ ჰანს იურგ შტრუხის მასტერ-კლასებში. სწორედ იმ წარმატებულმა გამოსვლამ განსაზღვრა მისი შემდგომი ბედი – ის, რომ დღეს ციურიხის კონსერვატორიის სტუდენტია. სულიერებისა და კულტურის ცენტრი გულშემატკივრობდა მას შარშან, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულ სოლო კონცერტზე და წელსაც, იმავე დარბაზში, ასევე სოლო კონცერტზე, უკვე ზემოაღნიშნული წარდგენის შემდეგ. და საერთოდ, სულიერებისა და კულტურის ცენტრი ცოცხლობს ნიჭიერების გამომზეურებით, წარდგენითა და შემდგომი წარმატებებით მიღებული სიხარულით!

თამარ წულუკიძე

ბატონიანობისაკენ სწრაფვა

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი არ თმობს პოზიციებს - მისი სამიზნე იძულებით დევნილი მოსახლეობის, კულტურის, ხელოვნების მოღვაწეთა მუდმივი ფიქრის, სამსჯავროზე გამოტანის საზრუნავია. იგი მუდამ ითვალისწინებს მაყურებლის ინტერესთა სფეროს - აქ მოსულმა იცის, რომ მისთვის რაღაც მნიშვნელოვანს უთუოდ გაიყოლებს დარბაზიდან.

6 ივლისსაც ასე მოხდა. ცენტრის კამერული გარემო, სითბოთი და ნოსტალგიით გაჟღენთილი კედლები, სადაც ეროვნულ რელიქვიათა მიმართ მოწიწებას ღაღადებენ გამოფენილი პლაკატები თუ ჩანახატები; ოდნავ მოშორებით, წარმოსახვით სცენაზე ამაყად მომზირალი როიალი, ,,პარტერში" კი მასპინძლის მოკრძალებული გულუხვობით აღბეჭდილი, კომპოზიციურად გემოვნებით განლაგებული მაგიდები - გულითადობის ტყვეობაში მოგაქცევდათ.

ძნელბედობის მიუხედავად, ქართველი კაცის ბუნებაში, გენეტიკურად ფესვგადგმული იმედის ჭარბი სხივი არასდროს მინავლდება. სწორედ ამ ქვეტექსტით წარიმართა ეს შეხვედრა-დიალოგი კულტურის სამ გამორჩეულ მოღვაწესა და მათი შემოქმედების დამფასებელ აუდიტორიას შორის.

ერთგვარი კამერტონის ფუნქცია დაეკისრა კომპოზიტორ გოგი ჩლაიძის ჰიტად ქცეულ სიმღერას ,,გამარჯობა, აფხაზეთო შენი" (რომელიც შეიქმნა სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლისთვის - ,,გამარჯობა სოხუმო"), სოხუმის სამუსიკო სასწავლებლის ახალგაზრდა პედაგოგ გიორგი გ[illegible]დელიას შესრულებით. ელეგიურმა განწყობილებამ, რომელიც[illegible] გიორგიმ გიტარის თანხლებით მოიტანა ჩვენამდე, ნელ-ნელა მსმენელებს შორის ურთიერთმისასვლელი სიმბოლური ხიდი გადო.

ცენტრის ხელმძღვანელმა სვეტლანა ქეცბამ საზოგადოებას წარუდგინა კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია, მწერალი გურამ ოდიშარია და მოქანდაკე ნერსე ბაწაში; თუმცა, ეს წარდგენა პირობით ხასიათს ატარებდა - მათი შემოქმედება ხომ უკვე ჩვენი სულიერი ცხოვრების ორგანულ ნაწილად იქცა. მშობლიური აფხაზეთის მონატრებით იყო სავსე ნერსე ბაწაშის ძარღვიანი მონოლოგი. თითქოს გულიდან სისხლი ეწრიტებაო, ისეთი ემოციური მუხტით გვიზიარებდა იგი თავის შეხედულებებს წარსული ცხოვრების, თუმცა, დღევანდელობის ტკივილგაუნელებელ განცდათა ერთობლიობაში მოქცეულ მარადიულ პრობლემებზე: ვერ შევძელით სათანადოდ აგვეხსნა აფხაზი ძმებისთვის, რომ ჩვენ ისტორიული კანონზომიერებით შეკავშირებული ერი ვართ - აფხაზი იგივე ქართველია, ქართველი კი ძირძველი მიწის მკვიდრი აფხაზი. ბევრს, განსაკუთრებით უცხოტომელებს, არ ესმით ამ ჭეშმარიტების არსი და ზოგჯერ აბსურდულ კითხვას შემოაგდებენ - აფხაზი ქართველია? რა თქმა უნდა, ისტორია ხომ ამას ღაღადებს. მავანს ამის გაგება არ ძალუძს, ესეც ხომ წინასწარ გათვლილი მზაკვრული გეგმის ნაწილია. მოდის ახალი თაობა და ჩვენი მამულიშვილური ვალია სიცხადის შეტანა ბურუსით მოცულ მათ ცნობიერებაში.

ბატონი ნერსეს სულის ამოძახილი კიდევ უფრო მძაფრად აღიქმებოდა დარბაზში გამოფენილი მისივე ნამუშევრების ფონზე: ,,მედეას დაბრუნება, ,,ქუჯი", ,,ძმათა მონანიება", ,,მძიმე ჯვარი", ,,მაცხოვარი", ,,ევას მონანიება". მინიატურულ ფორმებში წარმოდგენილ ამ მრავალმხრივ საყურადღებო ქმნილებებს თვით მოქანდაკე უკეთებდა კომენტარებს. განსაკუთრებული სიამაყით ისაუბრა კოლხი მედეას სიდიადეზე, მედიცინაში მის ლეგენდარულ სახელსა და მსოფლიო მნიშვნელობის ავტორიტეტზე.

ბატონი ნერსეს მგზნებარე საუბარი, აუდიტორიის გულმხურვალე გამოხმაურება სკოლის მოსწავლე გიორგი კინწურაშვილის გამოსვლამ შეცვალა :

,,ორაგული შავ ზღვაში მოცურავდა.

ჩქარობდა.

რიზეს გამოსცდა.

გამოსცდა ბათუმსაც.

შორიდან მოუარა ფოთსაც, ანაკლიის კონცხსაც, ენგურსაც, ერისწყალსაც, მოქვსაც.

ჩქარობდა.

მდინარეს აუყვა ორაგული.

მდინარეზე თხელი, მოიისფრო ნისლი იწვა. შორს კავკასიონის მთები ჩანდნენ, მაღლა და კიდევ უფრო შორს - მყინვარწვერები.

ორაგულიც სწორედ იქით მიიჩქაროდა - მთებისკენ.

სადღაც დინამიტი აფეთქდა, ცაში აიჭრა გაცოფებული წყალი.

სისხლმა შეღება მდინარის წყალი.

ორაგულს ბედი სწყალობდა.

შეუსვენებლად მიცურავდა.

რაც უფრო მაღლა მიცურავდა ორაგული მთის კალთებისკენ, მით უფრო ძლიერდებოდა მდინარის ნაკადი და ძნელდებოდა ცურვა. ის კი ისევ ჯიუტად და გააფთრებით მიიწევდა წინ.

გვერდები დაუბეჟა ქვებმა, დაუსისხლიანა, ფარფლებიც დაუჩეჩქვა, მაგრამ ის მაინც წინ მიიწევდა.

გაასრულა ორაგულმა თავისი ცურვა, ბოლოჯერ დაიძაგრა, ბოლოჯერ ააფართხალა ფარფლები - ის უკვე დედა მდინარეში იყო, იქ იყო, სადაც დაიბადა...„

გურამ ოდიშარიას რომან ,,შავი ზღვის ოკეანეს" ეპილოგის კითხვა გააგრძელეს ანანო კუხალაშვილმა, მარიამ ბენდელავამ და ანა ქაშიბაძემ. ისინი მხოლოდ გადმოცემით იცნობენ შავი ზღვისპირეთის თვალ-მარგალიტს - აფხაზეთს. შეუძლებელი იყო მშვიდად მათი მოსმენა. ნორჩ მკითხველთა არსებაში დაგუბებულმა ემოციურმა ტალღამ მონუსხა მაყურებელთა დარბაზი. მათ, შეძლებისდაგვარად, მოახერხეს მწერლის ჩანაფიქრის მხატვრულ ფორმაში მოქცევა. და ხალასი, გულწრფელი, ლირიკულ-დრამატული ინტონაციების ლავირებით, რომანტიკულ სამყაროში გადაგვტყორცნეს. ქალბატონ სვეტლანა ქეცბას შეკითხვაზე - თუ რა ამოიკითხა მან ტექსტზე მუშაობის დროს, ყველაზე პატარა ანა ქაშიბაძემ უპასუხა: ორაგულის თავგადასავალი დევნილთა ხიფათით გამოვლილ გზაზე მოგვითხრობს, ხოლო დასასრული ბედნიერების განცდის შეგრძნებაა - საკუთარ კერას რომ უბრუნდები!...

ეს გოლგოთის გზა აფხაზეთიდან იძულებით გადმოხვეწილი მოსახლეობის ხვედრიცაა, რაც კეთილად დაგვირგვინების იმედს გვიტოვებს.

კმაყოფილებას ვერ ფარავდა მხატვრული კითხვის ნორჩი ,,ოსტატების“ მიმართ სოხუმის კოლორიტი, ქართული კულტურის მოამაგე, ჩინებული მწერალი და გახმაურებული ,,ზღვა , რომელიც შორიას“ ავტორი გურამ ოდიშარია. მისი ერთ-ერთი ბოლო რომანი ,,პრეზიდენტის კატა“, რომელიც მასთან შეხვედრად მოსულ მკითხველს უსახსოვრა ავტოგრაფითურთ, უკვე ითარგმნა ინგლისურ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სლოვაკურ ენებზე. რომანში მწერალი მოგვითხრობს აფხაზეთიდან ტერიტორიულად დროებით მოწყვეტილი, მაგრამ ცხოვრების მრწამსით ამ კუთხესთან სამუდამოდ გადაჭდობილი პატრიოტის ჭირთათმენის არცთუ შორეული ბატალიების პიკანტურ ისტორიებზე. გურამ ოდიშარიას გამორჩეული მწერლური სტილი, სხარტი დიალოგური მანერა, ეპიზოდთა მახვილგონივრულად შეთხზვისა და მოვლენათა განზოგადოების ფართო სპექტრი ნებისმიერი ფენის მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს.

ერთგული მკითხველის წინაშე ბატონმა გურამ ოდიშარიამ გამოცდის ჩასაბარებლად გასული მოწაფის როლი მოირგო. იგი ქვეშეცნეულად ინანიებდა ომისა და ნგრევის ქარცეცხლში გამოვლილი გზის ტრაგიკული განვითარების შედეგებს. სახელმწიფო მოღვაწის პოზიციებიდან განჭვრიტა სამომავლო გეზი: მსოფლიოს გავაგებინოთ ჩვენი სატკივარი და, რაც ყველაზე მთავარია, აფხაზ ძმებსა და დებთან მისასვლელი უახლესი გზა უნდა გავკვალოთ. ამის წინაპირობად ჩვენი კულტურის აღორძინება მიმაჩნია. ფაშისტურ გერმანიასთან მძინვარე ომის დროს, ლევიტანის შოკისმომგვრელ ინფორმაციებს ხანგრძლივი პაუზა ახლდა და ამ დამთრგუნველი პაუზის განმუხტვა ხდებოდა კლასიკური მუსიკის კორიფეთა - ბახის, ბეთჰოვენის, მალერის, ჩაიკოვსკის... ნაწარმოებთა შემოქმედებით. ჩვენც იმავე ხერხით უნდა ვიმოქმედოთ - კულტურის როლი ყოვლისშემძლეა.

კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიასთან ყოველი შეხვედრა მსმენელს მისი მელოდიური, გულშიჩამწვდომი სიმღერების გარემოცვაში ამყოფებს. ამჯერად თვით კომპოზიტორს მოუმზადეს სიურპრიზი - ლეილა თორიამ საოჯახო არქივიდან ვიდეოდისკზე გადატანილი ,,ნუნუ გაბუნიას მოგზაურობა აფხაზეთში“ - გადასცა საჩუქრად. შეახსენა ის ისტორიული ძეგლები, რომელთა დათვალიერებისას მას მეგზურობას უწევდნენ მასპინძლები. კომპოზიტორი განსაკუთრებით გაახარა ინფორმაციამ, რომ დისკზე აღბეჭდილია საკუთარი სიმღერების მისეული შესრულება სხვა მომღერლებთან ერთად.

შეხვედრაზე ნუნუ გაბუნიამ დანანებით აღნიშნა, რომ ახალ სიმღერას, რომელიც შთააგონა გურამ ოდიშარიას ლექსმა ,,დიალოგი“ (წიგნიდან ,,საგალობლები შენთვის“), ვერ წარადგენდა მსმენელის წინაშე. მიზეზიც განმარტა - სრულფასოვნად შესრულების გარეშე ახალი ნაწარმოების სამსჯავროზე გამოტანა შეუფერებლად მიიჩნია. შემდეგ გაიხსენა, სულიერებისა და კულტურის ცენტრის შეკვეთით, როგორ შთაგონებით იმუშავა ჯანო ჯანელიძის საიუბილეო თარიღისთვის პოეტის ლექსზე ,,ზღვა და სივრცე“.

დღეს არსებობს ამ სიმღერის საფონდო ჩანაწერი და ეს სევდიანი მელოდია სხვადასხვა მომღერლის რეპერტუარში შევიდა. მსმენელთან შესახვედრად კომპოზიტორმა სწორედ ამ სიმღერის ჩანაწერი შეარჩია, გიორგი შარაბიძის შესრულებით. მეორე ნაწარმოები - ლაზური სიმღერა, მან თავისი შვილიშვილის ნინო

ბედიაშვილის შესრულებით, ნერსე ბაწაშის პატივისცემის ნიშნად ააჟღერა.

თავიანთი დამოკიდებულება საღამოზე მოწვეულ ხელოვანთა მიმართ გამოხატეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ და ჟურნალისტმა გვანჯი მანიამ. ბატონი ვახტანგისთვის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მიერ ჩატარებული ყველა ღონისძიება მაღალ კრიტერიუმებს მიესადაგება - დევნილი მოსახლეობის არა მხოლოდ სატკივარი გამოაქვს სააშკარაოზე, სამომავლო გზის კონტურებზეც მიანიშნებს. ბატონი გვანჯისთვის აფხაზეთი მისი სულიერი ცხოვრების ქვაკუთხედია და ღრმად სწამს საქართველოს ამ წალკოტის ბედნიერი მომავალი.

აფხაზეთის მკვიდრმა, პოეტმა გიორგი ბალახაშვილმა დამსწრეთ წაუკითხა ჭაბუკი ქოიავას ნოსტალგიური სუნთქვით გამსჭვალული: ,,ზღვისპირა პალმას ჩამოტყდა ტოტი“. საკუთარი რეპერტუარიდან კი ახალი, მწვავე სადისკუსიო ლექსით - ,,ქალაქს“ - გამართა დიალოგი პოეზიის მოყვარულ მსმენელთან. ,,ეს იყო თბილი და საჭირო შეხვედრა მონატრებულ ადამიანებსა და მათ შემოქმედებასთან“ - ასეთი ვერდიქტი გამოიტანა ახალგაზრდა პოეტმა.

შეხვედრა-საღამოს ღირსეული წერტილი მოუძებნეს ორგანიზატორებმა: ქალბატონმა სვეტლანა ქეცბამ სამივე სტუმარს საჩუქრად გადასცა კალიგრაფ ლეილა ბაღბაიას ნატიფი ხელწერით შესრულებული, ჩარჩოში ჩასმული მათი გვარ-სახელები.

ყველა შეხვედრა წარმავალია, იმწუთიერია, დავიწყების ბურუსი შთანთქავს ყოველივეს; ასეთი ულმობელია დრო, მაგრამ საკუთარი ფესვების გადარჩენისკენ სწრაფვას ჟამი ვერაფერს დააკლებს...

ვაჟა ძიგუა

დაუვიწყარი სოხუმი და შავი ზღვის თეთრი ქალი

(თინა ბოლქვაძე - 100)

ა.წ. 19 სექტემბერს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში შედგა საქართველოს და აფხაზეთის სახალხო არტისტის, ყველასათვის საყვარელი მსახიობისა და მოქალაქის, ლტოლვილობაში გარდაცვლილი თინა ბოლქვაძის საიუბილეო საღამო. შეხვედრაზე თავი მოიყარეს მისმა კოლეგებმა, ქართული თეატრისა და კინოს ცნობილმა მოღვაწეებმა, კრიტიკოსებმა, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებმა.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა მასპინძელი ცენტრის ხელმძღვანელმა სვეტლანა ქეცბამ. მან მადლობა გადაუხადა სტუმრებს მსახიობის ღვაწლის დაფასებისთვის და მოკლედ დაახასიათა ის დიდი წვლილი, რაც შეიტანა ქალბატონმა თინამ აფხაზი და ქართველი ხალხის დამეგობრებაში და

გაგრძელება მე-6 გვ.

დასაწყისი მე-5 გვ.

რომ თინა ბოლქვაძე ერთნაირად საყვარელი იყო აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენლისათვის.

შეხვედრის კამერტონად გაჟღერდა კომპოზიტორ ლელა მაქარაშვილის მიერ ვირტუოზულად და შთაგონებით შესრულებული იმპროვიზაცია გოგი ჩლაიძის სიმღერის - „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“ თემაზე.

ამ გულთბილი მისალმების შემდეგ, საღამო–შეხვედრას სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი, საქართველოს სახალხო არტისტი დიმიტრი ჯაიანი. მან მისთვის ჩვეული მგზნებარებით გაიხსენა ქალბატონ თინას უნიკალური სამსახიობო და ადამიანური თვისებები, ხაზი გაუსვა მის კომუნიკაბელობას, იუმორის განსაკუთრებულ გრძნობას, არტისტულ და გარეგნულ მომხიბლაობას, აღნიშნა ის გასაოცარი გარემო და შეხმატკბილება, რაც თან სდევდა აფხაზური და ქართული დასის შემოქმედებას, ვიდრე მათ თავს მოახვევდნენ პოლიტიკურ ავანტიურებს. მან აღნიშნა, რომ ამ ჰარმონიის ერთ–ერთ მთავარ ინსპირატორად სწორედ ქალბატონი თინა გვევლინებოდა. მსახიობმა განცვიფრება გამოთქვა იმის გამო, რომ თვით ყოფითი სისუსტეებიც კი (თუნდაც ის, რომ კულინარიის საკითხებში „ჩაუხედავი“ იყო), ავსებდა და ამდიდრებდა ამ უნიკალური მსახიობი ქალის გარეგნულ თუ შინაგან პორტრეტს.

შემდგომ ამისა მან სიტყვა გადასცა ცნობილ თეატრმცოდნე ნათელა არველაძეს.

ქალბატონმა ნათელამ ვრცლად ილაპარაკა თინა ბოლქვაძის პიროვნული და შემოქმედებითი ინდივიდუალობის შესახებ, იმ საგვარეულო, კულტურული თუ შემოქმედებითი გარემოს შესახებ, რომელშიც იზრდებოდა სახალხო არტისტი და რამაც განაპირობა კიდეც მისი მაღალი საშემსრულებლო და სცენური კულტურა. მისი აზრით, ეს ვითარება განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდებოდა მსახიობის მიერ უცხოურ პიესებზე დაყრდნობით შექმნილ სცენურ სახეებში, სადაც მისი მხრიდან მკაფიოდ ჩანდა დრამატურგის მიერ შემოთავაზებული პერსონაჟისა და ვითარების სრულყოფილი წვდომა. მან გაიხსენა მსახიობთან ურთიერთობის არაერთი ეპიზოდი, მკაფიოდ აღნიშნა, რომ ყველა ნიშნის მიხედვით თინა ბოლქვაძე სოხუმის ქართული დრამატული თეატრის დედოფლად მოიაზრებოდა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა აფხაზეთის ყველა დონის სამთავრობო თუ კულტურულ წრეებში. გაიხსენა არაერთი ფაქტი, მათ შორის კურიოზულიც კი, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უწევდნენ ანგარიშს ამაგდარ მსახიობს და ხშირად შეუძლებელსაც აკეთებდნენ ხოლმე მის მიმართ პატივისცემისა და მოწიწების გამო.

სიტყვა გადაეცა ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწე გენო კალანდიას.

ბატონმა გენომ დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა მსახიობის ღვაწლის პატივდებისათვის. მან გამოჰყო რამდენიმე მნიშვნელოვანი შტრიხი მისი და თინას შემოქმედებითი და პირადი ურთიერთობებიდან, აღნიშნა ის, რომ თინა ბოლქვაძე წუწუნავების სახელგანთქმული საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, რომლის სათავეში იდგა სახელოვანი შემოქმედი და მამულიშვილი ალექსანდრე წუწუნავა. მისი აზრით, გარეგნული ღირსებების თვალსაზრისით, თინა ბოლქვაძეს და მედეა ბიბილეიშვილს სოხუმის თეატრში ბადალი არ ჰყავდათ. მან თინას პოპულარობის დასტურად გაიხსენა რამდენიმე ფაქტი და დასძინა, ეს იუბილე სოხუმის თეატრში რომ ჩატარებულიყო, იმ დიდ დარბაზშიც კი ტევა არ იქნებოდაო.

ცნობილმა რეჟისორმა და მწერალმა ზურა კანდელაკმა გაიხსენა იმ პერიოდის სოხუმის თეატრი და გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ, როცა ამ თეატრში სადიპლომო სპექტაკლს დგამდა, ქალბატონი თინა, თურმე, 50 წლისა ყოფილა. ახალგაზრდული შემართებიდან და უნაკლო გარეგნობიდან გამომდინარე, გამომსვლელმა ეჭვიც კი გამოთქვა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, თუმცა დარბაზში მსხდომმა თინა ბოლქვაძის უახლოესმა ნათესავებმა და მეგობრებმა დაუდასტურეს თარიღის სისწორე. მან ხაზი გაუსვა ამ მართლაცდა გამორჩეული მსახიობის არისტოკრატიზმს, მის უნარს, ყოფილიყო მზრუნველი და ყურადღებიანი კოლეგების მიმართ, რომ ამ მსახიობს ჰქონდა ამბის ხატოვნად მოყოლის გასაოცარი უნარი და ხშირად მითებსაც კი ქმნიდა ამა თუ იმ მოვლენის გარშემო. მის მიმართ საყოველთაო პატივისცემის ნიმუშად ზურა კანდელაკმა გაიხსენა ეპიზოდი, რომელიც დაკავშირებული იყო ელიზბარ გოგიტიძესთან, ცნობილ გემის კაპიტანთან, რომელიც ქალბატონ თინას ნიჭის მხურვალე თაყვანისმცემელი იყო. ბატონ ელიზბარს სოხუმის თეატრში სპექტაკლზე დასწრების სურვილი გამოუთქვამს და გაუგია რა, რომ მთავარ როლს თინა ბოლქვაძე ასრულებდა, ხმამაღლა განუცხადებია, თუ ასეა, ყველა ბილეთს მე ვყიდულობო.

ზურა კანდელაკმა გაიხსენა, ასევე, ჭადრაკში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკის ხშირი სტუმრობა ქალბატონ თინასთან, შეხვედრები საბჭოთა კავშირის სხვა ცნობილ ადამიანებთან, რომლის უცვლელი ინიციატორი სწორედ თინა იყო. მან გამოთქვა ნოსტალგია იმ ბედნიერი წლების მიმართ და ყველას უსურვა იმ მეგობრული ატმოსფეროს აღდგენა, რაც სუფევდა იმდროინდელ სოხუმში.

დიმიტრი ჯაიანმა ალექსანდრე ჩხაიძის პიესა „შთამომავლობაში“ თინას მიერ შესრულებულ დედის როლთან დაკავშირებით ბრძანა, რომ თვით ვერიკო ანჯაფარიძის გენიალურმა შესრულებამაც კი არ დააფრთხო ქალბატონი თინა, მან სულ სხვა ფსიქოლოგიური შტრიხები შესძინა და განსხვავებული რაკურსით წარმოაჩინა უნიკალური მხატვრული სახე.

„სოხუმი არ იყო დასვენებისა და უსაგნო გართობა–მხიარულების ადგილი, – ასე დაიწყო თავისი გამოსვლა კლასიკური ბალეტის პოპულარულმა მოცეკვავე მაკა მახარაძემ, - სოხუმი იყო გზაჯვარედინი, საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხელოვანთა გადაკვეთის წერტილი, რის გამოც მას სრულიად დამოუკიდებელი ფუნქცია ენიჭებოდა. და რომ ამ გზაჯვარედინს მასპინძლობდა თინა ბოლქვაძე და სტუმრებს შორის ურთიერთობას ხშირად თავად არეგულირებდა კიდეც. სწორედ ის იყო შეხვედრებისა თუ თემატური საღამოების ორგანიზატორი, არაჩვეულებრივი გარეგნობის, ყოველთვის მოწესრიგებული, იუმორით აღსავსე ამბების მთხრობელი და საერთო სიხალისის შემომტანი. მას ამაში ხელს უწყობდა დახვეწილი გემოვნება, ბუნებრივი არტისტიზმი“. ქალბატონმა მაკამ გაიხსენა თეატრალური ცხოვრების ერთი უაღრესად საინტერესო ეპიზოდი. ის, ჯერ მთლად პატარა, დედას - მედეა ჩახავას და თინა ბოლქვაძეს წაუყვანიათ ბალეტ „ოტელოს“ პრემიერაზე. სპექტაკლის შემდეგ, ქალბატონ თინას ინიციატივით, ისინი მისულან ვახტანგ ჭაბუკიანთან წარმატების მისალოცად. ბატონ ვახტანგს გადაუკოცნია ყველანი. ქალბატონ თინას უთქვამს, პირს აღარ დავიბან, რომ თქვენი კოცნის ანაბეჭდი არ წამეშალოსო, რაზეც ვახტანგს გულიანად გაუცინია და კიდევ ერთხელ გადაუკოცნია თინა. მან ზუსტად იცოდა, ვისთან რა ეთქვა და როგორ მოეპოვებინა ადამიანების კეთილგანწყობა.

ამ ეპიზოდს ერთი სახალისო ისტორიაც დაუმატა. თინა ბოლქვაძეს პატარა ალიკო საბავშვო ბაღში მიუყვანია. ერთხელ, როცა მის წამოსაყვანად მისულა, ასეთი სურათი დახვედრია: აღმზრდელი განმარტოებით იჯდა და რაღაცას კითხულობდა. ბავშვები იკლებდნენ იქაურობას. თინას დანახვაზე იგი წამომხტარა და მთელი ხმით უყვირია „ალექს„! ბუნებრივია, ალიკომ არც კი იცოდა, რომ მას ალექსიც ჰქვია და ამაზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენია. თინა იძულებული გამხდარა თავისი წკრიალა ხმით ეყვირა „ალიკ, მე მოვედი!“ აღმზრდელს გულითადი მადლობა გადაუხდია „ესოდენ საჭირო“ დახმარებისათვის.

ქალბატონი მაკა დაეთანხმა წინა გამომსვლელებს, რომ სოხუმი მართლაც იყო დღესასწაული და დაუვიწყარი ყველასთვის, ვისაც თუნდაც ერთხელ ჰქონია ამ ქალაქთან შეხება. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას თინას ღვაწლის გულთბილი დაფასებისთვის.

დიმიტრი ჯაიანმა აღნიშნა, რომ არა მარტო მედეა ჩახავა, კოტე მახარაძე და ქალბატონი თინაც უახლოესი მეგობრები იყვნენ და რომ მათ აახლოებდა განსაკუთრებული ატმოსფეროს შექმნის უნარი.

შემდგომ ამისა ტრიბუნა დაეთმო ცნობილ სპორტულ კომენტატორსა და მსახიობ ივიკო მახარაძეს, რომელმაც გამოთქვა სინანული იმის გამო, რომ არ ჰქონდა ბედნიერება სპექტაკლი ეთამა-

შა ქალბატონ თინასთან ერთად. მიუხედავად ამისა, მას არაერთი შეხვედრა დაამახსოვრდა და სრულიად დაეთანხმა იმ აზრს, რომ სოხუმი იყო დღესასწაულის ადგილი, ხოლო თინა ბოლქვაძე - ამ დღესასწაულის ერთ–ერთი მთავარი ფიგურანტი.

დიმიტრი ჯაიანმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თეატრის ფანატიკური სიყვარულის მიუხედავად, თინა ბოლქვაძე იყო არაჩვეულებრივი დედა, უაღრესად მზრუნველი და მოსიყვარულე. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ მისი ვაჟის, ალიკო კვაჭაძის ფართო ერუდიცია და თეატრის სიყვარული განაპირობა სწორედ მათ ოჯახში შექმნილმა კულტურულმა და შემეცნებითმა ატმოსფერომ.

სიტყვა წარმოსათქმელად გადმომეცა მე, ამ რეპორტაჟის ავტორს. თვალწინ წარმომიდგა ქალბატონი თინა სცენაზეც და ცხოვრებაშიც და პირველრიგად დამსწრეთა ყურადღება გავამახვილე მის არტისტული გამოსხივების უნარზე, რაც, ჩემი აზრით, ამ მსახიობის განსაკუთრებული ადამიანური ენერგეტიკიდან გამომდინარეობდა, რომ მას გააჩნდა უნარი, მთლიანად დაეპყრო მაყურებლის ყურადღება და დასამახსოვრებელი გამხდარიყო თვით უმნიშვნელო ეპიზოდის შესრულებითაც. აღვნიშნე ისიც, რომ ქალბატონი თინა იყო უნიკალური სახასიათო მონაცემების მქონე მსახიობი, რომელსაც, ამასთანავე, უნარი შესწევდა ეთამაშა ღრმად დრამატული როლები. მისი იუმორი განსხვავდებოდა ჩვეულებრივი სცენური კომიზმისაგან და მუდმივად ახლდა ქალური მომხიბლაობა და თვითირონია, ასევე ხელეწიფებოდა ტრაგიკომიკური როლების შესრულება და გააჩნდა უნარი, მთელი სისავსით გაეჟღერებინა სიტუაციის თუ მოვლენის არა მარტო კომიზმი, არამედ ტრაგიზმიც.

ვთქვი იმის შესახებაც, რომ ქალბატონი თინა იყო მოარული პერსონაჟების ბრწყინვალე ინტერპრეტატორი და ამასთან დაკავშირებით გავიხსენე ჩვენი დიალოგი კატარინას ფსიქოტიპის შესახებ შექსპირის კომედია „ჭირვეულის მორჯულებაში“. ეს როლი ნათამაშები ჰქონდა ქალბატონ თინას და გულმოდგინედ ამტკიცებდა, რომ კატარინას ჭირვეულობა ნამდვილი მამაკაცის ძიება უფროა, ვიდრე ლამაზი ქალის უბრალო კაპრიზებიო. ბუნებრივია, მისი კატარინა სხვას არ დაემსგავსებოდა.

ასევე გამოვთქვი გულისტკივილი იმის გამო, რომ აფხაზეთში განვითარებულმა ცნობილმა ნეგატიურმა მოვლენებმა იგი აიძულა მოწყვეტოდა თავისი შემოქმედების უსაყვარლეს კერას და ახალ თაობას არ მიეცა საშუალება დამტკბარიყო ამ უნიკალური მსახიობის უაღრესად საინტერესო შემოქმედებით.

ქალბატონ თინას კოლეგამ, ცნობილმა მსახიობმა ლიანა მიქაშავიძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თინა ბოლქვაძეს გააჩნდა განსაკუთრებული უნარი, ყველგან და ყოველთვის ეპოვა თავისი კუთვნილი ადგილი. ამის მაგალითად მან გაიხსენა მისი მოღვაწეობა რუსთაველის თეატრში თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავიდანვე აღმოჩნდა კორიფეების გარემოცვაში, მას არ დაუკარგავს თავისი ინდივიდუალობა და მისი გადაწყვეტილება, გამხდარიყო სოხუმის თეატრის მსახიობი, ნაკარნახევი იყო არა კორიფეებთან მეტოქეობის შიშით, არამედ სურვილით, თეატრში თავად გამხდარიყო შემოქმედებითი ტონის მიმცემი. აღნიშნა მისი გარეგნული მახასიათებლები: სინაზე, ქალურობა, მსახიობის სახელზე მოწერილი წერილების სათაური – „შავი ზღვის თეთრ ქალბატონს“.

მოიგონა, აგრეთვე, ერთი საინტერესო შემთხვევა თინა ბოლქვაძის შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან: სოხუმის აფხაზური დასი გასტროლებს მართავდა მოსკოვში და მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს ქართული დასის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათ შორის თინა ბოლქვაძე. მათ დააკისრეს უსიტყვო როლები მასაში, რადგან არც ერთმა მათგანმა არ იცოდა აფხაზური ენა. თინამ ყველა აფხაზური სიტყვა, თუ რამ იცოდა, მთლიანად გამოიყენა უსიტყვო როლის შესრულების დროს და რუს კოლეგებს შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ ფლობდა აფხაზურ ენას. სპექტაკლის შემდეგ მას, თურმე, რუსი კოლეგები ულოცავდნენ არა მხოლოდ კარგად შესრულებულ როლს, არამედ აფხაზური ენის ცოდნასაც.

ლიანა მიქაშავიძემ გაიხსენა, რომ სიცოცხლეში თინა არასოდეს აღნიშნავდა საიუბილეო თარიღებს, რადგან არ უყვარდა ასაკის გამხელა. ამასთან აღნიშნა, რომ იგი იყო უაღრესად პრინციპული ადამიანი და არასოდეს მიდიოდა რაიმე დათმობაზე. ერთხელ სოხუმის თეატრის დასის წარმომადგენლები უნდა შეხვედროდნენ მსჯავრდებულებს თავისუფლების აღკვეთის ადგილას და ქალბატონები გააფრთხილეს, რომ არ ჩაეცვათ გამომწვევად. განსაკუთრებული აკრძალვის ქვეშ მოექცა დეკოლტე, ესოდენ საყვარელი აქსესუარი თინას ჩაცმულობაში. მას კატეგორიული უარი განუცხადებია ასეთ შეზღუდვაზე და მსჯავრდებულთა წინაშე მაინც დეკოლტეთი წარმდგარა.

ამის შემდეგ დიმიტრი ჯაიანმა ჩვეული ოსტატობით და ამაღელვებლად წარმოთქვა რეზო ამაშუკელის ლექსი „შუაფხო“, რასაც მოჰყვა დამსწრეთა მხურვალე ტაში.

სიტყვა კვლავ ნათელა არველაძემ აიღო. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ თინა ბოლქვაძე უნდა მოვიხსენიოთ არა მხოლოდ როგორც გამორჩეული მსახიობი, არამედ როგორც გამორჩეული საზოგადო მოღვაწეც, რომელმაც სხვებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა ქართულ–აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიაში და დასძინა, პოლიტიკური ავანტიურები რომ არა, დღეს საქართველოში სულ სხვა ვითარება გვექნებოდაო.

მუსიკისმცოდნე და თეატრმცოდნე თამარ წულუკიძემ თავისი გამოსვლა დაიწყო იმით, რომ თინამ წულუკიძეების ოჯახში გაატარა თავისი ბოლო წლები, შეჩერდა თინასა და მამის - ანტონ წულუკიძის ურთიერთობაზე, რომელიც უფრო და–ძმურს ჰგავდა, ვიდრე უბრალოდ დეიდაშვილურს. აღნიშნა ისიც, რომ მას არც თბილისში შეუწყვეტია ინტენსიური ურთიერთობები თავის აფხაზ და რუს მეგობრებთან.

თამარმა თინას დაუოკებელ ტემპერამენტთან დაკავშირებით გაიხსენა აკაკი ხორავას სიტყვები თინას შესახებ, რაც მამისგან ჰქონდა გაგონილი: „ეგ ისეთი ქალია, შუა ზღვაში გემს გააჩერებსო“. არადა მსგავსი ფაქტი მართლაც მომხდარა. იმის გამო, რომ გემი უკვე გასვლას აპირებდა, რუსთაველის თეატრის მსახიობებს არ დართეს ნება დასათვალიერებლად გემზე ასულიყვნენ. თინას ჩარევის შემდეგ კი ეს საკითხი მაშინვე მოგვარებულა.

შემდგომ გაგვაცნო მსახიობ ნოდარ მგალობლიშვილის მოგონება. ბატონი ნოდარი მოსკოვში ჩასულა ქართულ საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ ძალიან მნიშვნელოვან მატჩზე დასასწრებად. პარალელურად, იმავე დროს, მოსკოვში გასტროლებს მართავდა ლოურენს ოლივიე სპექტაკლ „ოტელოთი“, სადაც ასრულებდა ოტელოს როლს. ბუნებრივია, ნოდარს ამ სპექტაკლის ნახვა ძალიან აინტერესებდა, მაგრამ ბილეთების შოვნის იმედი არ ჰქონდა არც სპექტაკლზე და არც ფეხბურთის მატჩზე. და აი, იგი შემთხვევით ქუჩაში შეხვდა თინა ბოლქვაძეს, რომელმაც ჰკითხა, ოლივიეს სანახავად ჩამოხვედი თუ „დინამოს“ მატჩზე დასასწრებადო? ორივესიო, უთქვამს ნოდარს, მაგრამ უბილეთობის გამო, მგონი, ვერც ერთზე ვერ მოვხვდებიო. თინას უთქვამს, „დინამოს“ ბილეთისა რა მოგახსენო, აი „ოტელოს“ ბილეთს კი მე გიშოვნიო. მარტო ხომ არ მოხვალ, ამიტომ სალაროში შენს სახელზე ორი ბილეთი იქნება გადანახულიო.

იმავე დღეს ქუჩაში მიმავალს კვლავ შემოესმა ძახილი „ნოდარო“. ამჯერად თურმე „დინამოს“ კაპიტანი შოთა იამანიძე უხმობდა. შოთას დაუჩივლია, ოლივიეს სპექტაკლზე მინდა დასწრება და ბილეთს ვერ ვშოულობო. ნოდარს მისთვის შეუთავაზებია ბილეთი, სამაგიეროდ, შოთას „დინამოს“ მატჩზე დასასწრები ბილეთი გადაუცია.

სპექტაკლის შემდეგ ნოდარი და შოთა მისულან თინასთან მადლობის სათქმელად. იქ მადლობის მთქმელთა რიგი დახვედრიათ. როცა მასთან მივიდნენ, თინას უთქვამს: მადლობას მე რას მეუბნებით, წამოდით და თქვენი აღფრთოვანება ლოურენსს გამოუცხადეთო, და გაოცებულ თანამემამულეებს წინ გასძღოლია. ნოდარი ყვებოდა, ლოურენსი თარჯიმნის დახმარებით რაღაცას ეუბნებოდა თინას, მერე კი საერთო სიცილი შემოგვესმაო. თარჯიმანს უთქვამს ოლივიესთვის, ქალბატონ თინას დეზდემონა აქვს ნათამაშებიო, ამაზე ოლივიეს პასუხი ასეთი ყოფილა: ამისთანა დეზდემონას ნამდვილად ვერ დავახრჩობდიო.

ამ მოგონებას დარბაზში სიცილი და ტაში მოჰყვა.

თამარი დაეთანხმა ზურა კანდელაკს, თინა მითებს ქმნიდაო და დაუმატა, რომ ის თავად იყო მითიური გმირი. შემდეგ გაიხსენა გიგა

გაგრძელება მე-8 გვ.

დასაწყისი მე-7 გვ. ლორთქიფანიძის სიტყვები, სოხუმის ხიბლი, ყველაფერთან ერთად, მის ადამიანებში იყოო და ერთ–ერთ ასეთ ადამიანად ყოველთვის მეგულებოდა თინა ბოლქვაძეო.

შემდგომ ამისა, თამარმა დასვა რიტორიკული შეკითხვა, რამდენად სწორი იყო ქალბატონი თინას გადაწყვეტილება, რუსთაველის თეატრიდან გადასულიყო სოხუმის თეატრში და თავადვე უპასუხა, რომ, ალბათ, სწორი იყო, რადგან რაც უფრო მეტად გავავრცელებთ ტალანტებს საქართველოს თუ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ერი მით უფრო მოგებული დარჩებაო.

თამარის თქმით, თინა ამაყობდა თავისი საგვარეულო წარმომავლობით. როგორც ისტორიული წყაროები მოწმობს, ბოლქვაძეები მე–17 საუკუნიდან აზნაურებად იხსენებიან. მათ მონაწილეობა მიღებული აქვთ უამრავ აჯანყებაში. ცნობილია, რომ 1819–20 წლის აჯანყების დროს იოთამ ბოლქვაძე პირადად გასწორებია გურიის მღელვარების ჩასაქრობად მოვლენილ სადამსჯელო რაზმის უფროს პოლკოვნიკ პრუზირევსკის.

დასასრულს თამარმა გამოხატა მადლიერება იმ ოაზისის შექმნის გამო, რადაც ამჟამად გვევლინება აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი.

ქალბატონმა სვეტლანა ქეცბამ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ასეთი თბილი საღამოსათვის და გამოთქვა იმედი, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს შეუწყობს იმ სულიერების აღორძინებას, რაც ასე გვხიბლავდა სოხუმის კულტურის ატმოსფეროში და რაც ნიმუშად უნდა იქცეს მომავალი თაობებისათვის.

შეხვედრა გაგრძელდა „ა ლა ფურშეტის“ სახით სუფრასთან, ტორტისა და წითელი ღვინის თანხლებით. სადღეგრძელოების მთავარი გმირი კვლავ იყო ქალბატონი თინა ბოლქვაძე და დაუვიწყარი დღესასწაული, სახელწოდებით „სოხუმი“...

მერაბ გეგია
ხელოვნებათმცოდნეობის
მეცნიერებათა დოქტორი
სახელმწიფოსა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის
პრემიის ლაურეატი

ჭეშმარიტი ლიტერატურა

ბედნიერებაა იყო შემოქმედებითი სულის მატარებელი! ეს მაღლიდან ბოძებული მადლია, სილამაზის მომძლავრებული აღქმა, ყოველდღიური მატერიალური საზრუნავის ნაკლებმნიშვნელოვნად მიჩნევა, დიდი შინაგანი ენერგიის ფლობა სიყვარულისთვის, მზაობა ირგვლივმყოფებზე ზრუნვის არეალის გასავრცობად, ყოველივე ამის უკუგება კი დიდი სიხარულია, როგორც თავად პიროვნების, ისე მის გარშემომყოფთათვის.

უნებურად ამ აზრებით განვიმსჭვალე 2016 წლის 15 ივლისს წმ. თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში „ქართული ალმანახის“ პრეზენტაციაზე ჟურნალის თვალის ერთი გადავლებისთანავე. სხვაგვარად ვერც იფიქრებდი, თუნდაც იმიტომ, რომ ამ სქელტანიანი ჟურნალის თაოსანი და მთავარი რედაქტორი წმ. თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის (თამარწმინდას) წინამძღვარი, საქართველოს საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, წმ. თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი და თბილისის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი არქიმანდრიტი ადამია (ახალაძე).

მართლაც, მხოლოდ შემოქმედებით ნიჭს ძალუძს გაუჩინოს ადამიანს დაუოკებელი მოთხოვნილება აკეთოს იმაზე მეტი, ვიდრე უკვე აკისრია, მუდმივად იყოს ძიებაში, სულდგმულობდეს ახალ-ახალი იდეებით და ადვილად პოულობდეს თანამოაზრეებს ამ იდეების განსახორციელებლად.

საკითხთა რა სიმრავლე და მრავალფეროვნება! დროისა და გეოგრაფიული სივრცის რა მასშტაბი! რამდენი ღირსეული, უკვე ისტორიის კუთვნილება თუ ჩვენი თანამედროვე პიროვნება, რომლებიც მუდმივად უნდა ახსოვდეთ საქართველოს მოქალაქეებს!

მთავარი მაინც ალმანახის მიმარათულებაა,რასაც თავიდანვე ვეცნობით გაზეთ „ივერიის“N1-დან ამობეჭდილ წერილში.

წავიკითხოთ „ქართული ალმანახი“, რათა გავითავისოთ ილია ჭავჭავაძის შეგონება: „ჭეშმარიტი ლიტერატურა ყველგან და ყოველს შემთხვევაში მართებულობის, ზრდილობის, ადამიანის ღირსების ფარიც არის და ხმალიცა“.

ლია სეხნიაშვილი

გზა სულიერი ამაღლებისაკენ

ტრადიციულად, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი დეკანოზ ბიძინა გუნიას ხელმძღვანელობით აგრძელებს საქართველოს წმიდა ადგილების მოლოცვას. ამჯერად გეზი ავიღეთ ნოკორნის (ნოტკორის) მონასტრისაკენ, რომლის შესახებაც ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: არაგვსა წირდალის ხევის შესართავის „ქუეით ერთვის არაგუს ნოკორნის ხევი ... ამის თავს არს ნოკორნა, მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, დიდი. ესე აღაშენა ... მეფემან არჩილ და ყო მონასტრად. შემდგომად წამებისა მისისა ცოლმან მისმან დაფლა წმიდა გუამი მისი მუნ“.

პირველი ცხებული მეფე, ვინც ქრისტესა და მამულისათვის ეწამა, წმ. არჩილი იყო. მან სარკინოზთა წინაშე უშიშრად აღიარა მაცხოვარი, რისთვისაც თავი მოჰკვეთეს. მეფის წმინდა ცხედარი დიდი პატივით დაკრძალეს მისსავე აშენებულ ტაძარში.

წმ. მეფე არჩილის მონასტერი VIII საუკუნის ძეგლია. სამონასტრო კომპლექსი შედგება ორი ბაზილიკური ტიპის ეკლესიის, კოშკის, მარნის, ბერების სამყოფი ნაგებობის და გალავნისგან. არჩილის მონასტერში დღესაც გრძელდება მონასტრული ცხოვრება. წყაროებში პირველად მოხენიებულია VIII ს-ის ამბების თხრობისას (ქც 1: 248,7). ის წყაროებში სხვადასხვა ფორმითაა მოხსენიებული: ნოკორნა, ნოტკორა, ნადოკრა, ნოდოკრა, ნაკორნა. სოფ. ნოკორნა მცხეთის სვეტიცხოვლის კუთვნილება იყო (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 199). ის შედიოდა ერწო-თიანეთის საეპისკოპოსოში (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 235). ნოკორნა-ნოტკორა ძევს ერწოს საზღვარზე. აქ გადიოდა არაგვიდან ერწოში შემავალი ერთ-ერთი გზა. მდებარეობს თიანეთის მუნიციპალიტეტში, თიანეთიდან 29 კმ-ის დაშორებით, ერწოს ველის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სოფ. სიონთგორთან.

მამა ბიძინამ მონასტერში საჯანმრთელო პარაკლისი გადაიხადა.

ჯვართაძალლოვა – ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯვრისა

14 სექტემბერი (27 სექტემბერი)

ღვთის განგებით, მაცხოვრის ჯვარცმიდან სამასი წლის შემდეგ ქრისტიანებმა მანამდე დაკარგული უდიდესი ქრისტიანული სიწმიდე - ცხოველსმყოფელი ჯვარი უფლისა ისევ მოიძიეს და მისი თაყვანისცემის შესაძლებლობა მიეცათ. ეს მოხდა 326 წელს, მოციქულთასწორი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის (306-337) დროს.

რომის წარმართი იმპერატორები ცდილობდნენ, ადამიანთა ცნობიერებიდან აღმოეფხვრათ იმ წმიდა ადგილების ხსოვნა, სადაც ევნო მაცხოვარი და დიდებით აღდგა. იმპერატორმა ადრიანემ (117-138) მიწით დააფარვინა გოლგოთა და ქრისტეს საფლავი, შემდეგ კი ხელოვნურად შექმნილ ბორცვზე წარმართული ქალღმერთის, ვენერას ტაძარი და იუპიტერის კერპი აღამართვინა. კონსტანტინე დიდმა სასწაულებრივად ირწმუნა ქრისტე მას შემდეგ, რაც იმპერიისთვის გადამწყვეტი ბრძოლის წინ ცაზე იხილა ჯვრის ნიში წარწერით: „ამით სძლო!“. უფლის რჩეულმა ჯვრის ძალით მართლაც გამანადგურებელი დამარცხება აგემა წინააღმდგომებს, რის შემდეგაც არ ასვენებდა სურვილი იმ ძელის მოძიებისა, „რომელთა ზედა მაცხოვარმა ჴელნი განიპყრნა“. მან მოოხრებულ იერუსალიმში გაგზავნა დედამისი - კეთილმსახური დედოფალი ელენე, რომელსაც პატრიარქ მაკარისთან წერილიც გაატანა თხოვნით, ხელი შეეწყო წმიდა საქმისთვის. ნეტარი ელენე უკვე საკმაოდ მოხუცებული იყო, მაგრამ, ღვთის სიყვარულით აღძრული, ფრიად დაშვრა დიდი სიწმიდის ძიებაში. იგი დიდხანს ამაოდ ცდილობდა, იერუსალიმის მკვიდრთაგან შეეტყო ჯვრის ადგილსამყოფელი. ბოლოს უფალმა მხცოვანი იუდეველის, იუდას მეშვეობით გააცხადა დაფარული. იპოვეს მაცხოვრის საფლავი, მის მახლობლად კი - სამი ჯვარი, დაფა პილატეს დავალებით გაკეთებული სამენოვანი წარწერით და ოთხი ლურსმანი, რომლითაც ძელზე მიამსჭვალეს ქრისტე. რომ გაეგოთ, რომელი იყო ცხოველსმყოფელი ძელი უფლისა სამივე ჯვარი რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს. მესიის ჯვრის შეხებაზე მკვდარი გაცოცხლდა. ურიცხვი ქრისტიანი შეიკრიბა სიწმიდის თაყვანსაცემად. ისინი პატრიარქ მაკარის სთხოვდნენ, აღემართა ჯვარი, რომ ყველას შეძლებოდა მისი დანახვა. მაშინ მღვდელმთავარმა სხვა სასულიერო პირებთან ერთად სიწმიდის ამაღლება დაიწყო, ხალხი კი ხადილით: „უფალო, შეგვიწყალენ“, კრძალვით თაყვანს სცემდა მას. წმიდა ჯვრის აღმოჩენას კიდევ ერთი სასწაული ახლდა თან: მისი გადასახვით მძიმე ავადმყოფი ქალი განიკურნა. მოხუცმა იუდამ და სხვა ებრაელებმა ირწმუნეს ქრისტე და მოინათლნენ. ნათლისღებისას იუდას კვირიაკე დაარქვეს. შემდგომში იგი იერუსალიმის ეპისკოპოსი გახდა, იულიანე განდგომილის (361-363) ზეობისას კი მოწამეობრივად დაასრულა სიცოცხლე (ხს. 28 ოქტომბერს). წმიდა ელენე დედოფალმა მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ადგილები ტაძრებით შეამკო: ოთხმოცზე მეტი ეკლესია აშენდა. კონსტანტინე დიდის ბრძანებით დაიწყო ქრისტეს აღდგომის ტაძრის მშენებლობა, რომელსაც გოლგოთა და უფლის საფლავი უნდა მოეცვა. ტაძარი დაახლოებით ათ წელს შენდებოდა და იკურთხა 335 წლის 13 სექტემბერს. მომდევნო დღეს, 14 სექტემბერს დაწესდა პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯვრის ამაღლების დღესასწაული.

ამ დღეს იხსენიება მესიის ჯვართან დაკავშირებული კიდევ ერთი მოვლენა - 14-წლიანი ტყვეობის შემდეგ მისი დაბრუნება სპარსეთიდან იერუსალიმში. იმპერატორ ფოკას (602-610) ზეობისას სპარსეთის მეფემ, ხოსრო II-მ დაამარცხა ბიზანტიელთა მხედრობა, დაარბია იერუსალიმი, გაიტანა უფლის ცხოველსმყოფელი ჯვარი და წმიდა პატრიარქი ზაქარიაც (609-633) ტყვედ ჩაიგდო. სიწმიდე 14 წელი იმყოფებოდა სპარსეთში და მხოლოდ მას შემდეგ გადმოეცათ ქრისტიანებს, რაც იმპერატორმა ჰერაკლემ (610-641), ღვთის შეწევნით, დაამარცხა ხოსრო და საზავო ხელშეკრულება დადო მის ძესთან - სიროესთან. ცხოველსმყოფელი ძელი დიდი ზეიმით შემოაბრძანეს იერუსალიმში. იმპერატორი ჰერაკლე სამეფო გვირგვინითა და პორფირით შემკული მიასვენებდა სიწმიდეს აღდგომის ტაძრისკენ. მას გვერდით პატრიარქი ზაქარია მიჰყვებოდა. ბჭეებთან, რომელიც უნდა გაევლოთ გოლგოთაზე ამსვლელებს, მეფე უეცრად შედგა და გზის განგრძობას ვერ ახერხებდა. წმიდა ზაქარიამ აუხსნა: ეს - უფლის ანგელოზი გეღობება წინ, რადგან მას, ვინც კაცობრიობის გამოსასყიდად აზიდა ჯვარი გოლგოთაზე, ეს გზა სიმდაბლით გაიარაო. მაშინ ჰერაკლემ მოისხნა გვირგვინი, სამეფო მანტიაც განიმოსა და უბრალო ტანსაცმლით დაუბრკოლებლად შეაბრძანა სიწმიდე ტაძარში.

სიტყვაში ჯვართამაღლების დღესასწაულზე ანდრია კრიტელი წერს: „ჯუარი ამაღლდების და სავსებაჲ ეკლესიისაჲ შემოკრბების. ჯუარი ამაღლდების და ქალაქნი დღესასწაულობენ და ერნი მხიარულებად მოისწრაფიან, რამეთუ მოჴსენებაჲცა ჯუარისაჲ მიზეზ იქმნებოდა სიხარულისა და მორიდება - მჭმუნვარებისა“.

„წმიდანთა ცხოვრება“, ტ. III, თბილისი, 2001 წ.

საეკლესიო კალენდარი

ოქტომბერი

1 ოქტ. (ჯვართამაღლების შემდგომი) შაბათი – წმ. მთავარმოწამის ბიძინა ჩოლოყაშვილის და წმ. მოწამეთა შალვასი და ელიზბარის, ქსნის ერისთავთა ხსენება (1661 წ.);

3 ოქტ. (ორშ.) – ერთაწმინდობა. წმ. დიდმოწამე ევსტათი პლაკიდას ხსენება (დაახ. 118 წ.);

4 ოქტ. (სამშ.) – ჯვართამაღლების დღესასწაულის წარგზავნა.

5 ოქტ. (ოთხშ.) – წინასწარმეტყველ იონას ხსენება (VIII ს. ქრისტეს წინ);

6 ოქტ. (ხუთშ.) – მუცლადღება პატიოსნისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;

7 ოქტ. (პარ.) – პირველმოწ. თეკლა მოც. სწორისა ხსენება (Iს);

9 ოქტ. სულთმოფენობიდან მე-16 კვირა.

– მიცვალება წმიდისა მოციქულისა მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა (II ს. დასაწ.);
– დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;
12 ოქტ. (ოთხშ.) – ღირ. ონოფრე გარეჯელის, საკვირველთმოქმედის ხსენება (XVIII ს.);
14 ოქტ. (პარ.) – მცხეთობა – სვეტიცხოვლობა:
– დღესასწაული საუფლო კვართისა და ღმრთივბრწყინვალე და მირონ-მდინარე სვეტისა;
– საფარველი ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა;
– მოც. სწორთა – მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანას ხსენება;
15 ოქტ. (შაბ.) – დიდმოწამე არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინე მხეიძეთა ხსენება (740);
16 ოქტ. სულთმოფენობიდან მე-17 კვირა. შავნაბადობა.
– მღვდელმოწ. დიონისე არეოპაგელის ხსენება;
17 ოქტ. (ორშ.) – მოწ. ევდემოზ კათოლიკოსის ხსენება (1642 წ.);
18 ოქტ. (სამშ.) – უბისობა.
– ღირ. მამის გრიგოლ ხანძთელის ხსენება (861 წ.);
19 ოქტ. (ოთხშ.) – წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა თომასი (I ს.);
22 ოქტ. (შაბ.) – მოც. იაკობ ალფესის ხსენება (I ს.);
23 ოქტ. სულთმოფენობიდან მე-17 კვირა.
– VII მსოფლიო კრების წმიდა მამათა ხსენება (787 წ.);
25 ოქტ. (სამშ.) – დღესასწაული იერუსალიმის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;
26 ოქტ. (ოთხშ.) – დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;
– ღირ. ანტონისა, ჭყონდიდელი მიტროპოლიტისა (1815).
29 ოქტ. (ხუთშ.) – ღირ. ზენონ იყალთოელის ხსენება (VI ს.);
30 ოქტ. სულთმოფენობიდან მე-19 კვირა.:
– წმიდისა მამისა ჩვენისა იოსებ კათალიკოსისა, საკვირველთმოქმედისა (1770 წ.);
– მოწ. კოზმანისა, რომელი ქართლს ეწამა.
31 ოქტ. (ორშ.) – წმიდისა დიდებულისა, ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა ლუკასი (Iს.).

ნოემბერი

1 ნოემბ. (სამშ.) – წინასწარმეტყველ იოელის (800 წ. ქრ. წინ) ხსენება;
2 ნოემბ. (ოთხშ.) – ღირ. გაბრიელ სალოსის და აღმსარებლის (ურგებაძე) ხსენება;
3 ნოემბ. (ხუთშ.) – ღირ. ილარიონ დიდის ხსენება (371-372წ.);
4 ნოემბ. (პარ.) – დღესასწაული ყაზანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;
5 ნოემბ. (შაბ.) – მოც. იაკობის, უფლის ხორციელად ძმის ხსენება (დაახ. 63წ.);
6 ნოემბ. სულთმოფენობიდან მე-20 კვირა
– ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის „ყოველთა მწუხარეთა სიხარულის“ ხსენება (1688 წ.);
7 ნოემბ. (ორშ.) – მოწ. მარკიანეს და მარტვირის ხსენება (დაახ. 355 წ.);
8 ნოემბ. (სამშ.) – წმ. ალექსანდრეს, გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსის (1907 წ.) ხსენება;
– დიდმოწამე დიმიტრი თესალონიკელის ხსენება (დაახ. 306 წ.);
10 ნოემბ. (ხუთშ.) – მღვდელმოწამე ნეოფიტესი, ურბნელი ეპისკოპოსის ხსენება (VII ს.);
11 ნოემბ. (პარ.) – ღირ. მამისა ჩვენისა სერაპიონ ზარზმელის ხსენება (900 წ.);
12 ნოემბ. (შაბ.) – მოწ. იოთამ ზედგენიძის, მეფისათვის თავდადებულის ხსენება (1465 წ.)
13 ნოემბ. სულთმოფენობიდან 21-ე კვირა – წმიდათა ათთა ბევრთა (100 000) მოწამეთა ხსნება (1227 წ.);
14 ნოემბ. (ორშ.) – უვეცხლოთა და საკვირველთმოქმედთა კოზმა და დამიანე ასიელთა ხსენება (III ს.);
16 ნოემბ. (ოთხშ.) – ხსენება ღირ. ნიკოლოზ ქართველთა მნათობისა, აკოლუთიათა აღმწერელისა (1308 წ.);
20 ნოემბ. სულთმოფენობიდან 22-ე კვირა – 33 მელიტინელ მოწამეთა ხსენება (III ს.);
21 ნოემბ. (ორშ.) – მთავარანგელოზების ეკლესიების დღესასწაული.
– კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა;
23 ნოემბ. (ოთხშ.) – ხსენება წმიდისა დიდისა მოწამისა და ძლევაშემოსილისა გიორგისა (303 წ.);
26 ნოემბ. (შაბ.) – ხსენება წმ. იოანე ოქროპირისა, კონსტანტინეპოლელი მთავარეპისკოპოსისა (407 წ.);
27 ნოემბ. სულთმოფენობიდან 22-ე კვირა: – წმ. მოციქულ ფილიპეს ხსენება (I);
– შობის მარხვის აღება!
28 ნოემბერი, შაბათი – მოწ. გურისა და სამონის (299-306წ.) და აბიბოს აღმსარებლის (322წ.) ხსენება;
– შობის მარხვის დასაწყისი!
29 ნოემბ. (სამშ.) – წმ. დიდებულის, ყოვლადქებული მოციქულის და მახარებლის მათეს ხსენება (60 წ);
30 ნოემბ. (ოთხშ.) – დიდმოწამე მიქაელის, რომელსა ეწოდა გობრონ და მისთა 133-თა მხედართა ხსენება (914 წ.);

თინა პოლევპაძე — 100

აგა ლეღიეჯი პეპლღეპისკენ

ISSN 2298-0865

წმ. დიდმოწამე აგნიდა მეფის მონასტერი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, თოფურიას ქ. №12, ტელ.: 231-51-30, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი